შაბათი, 1917 წ. გიორგობისთვის 25 (8) № 260

წლიწადი მესამე

შაბათი, 1917 წ. გიორგობისთვის 25 (8) № 260

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველო

**რედაქცია**

ხელნაწერი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი ხელნაწერი მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^{1}/_{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქ. № 5 თავად-აზნაურობის ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## გაზეთის შინაარსი

### ცნობებიდან

რუსეთი, გერმანეთი, ოსმალეთი და ავსტრო-უნგრეთი სამთვიან დროებით ზავზე შეთანხმდნენ.—სრულ ზავის ჩამოსაგდებად შუამავლობას შვეციის მთავრობა კისრულობს. ახალ მთავრობამ პეტროგრადსა და ბერლინის შორის რადიო-ტელეგრაფი დაარსა.—ხმები ახალ ფულის გამოცემის შესახებ ტყუილი გამოდგა.—სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირმა ახალი მთავრობა იცნო.—სახალხო კომისრების საბჭო ჯარის დემობილიზაციის პროექტს იმუშავებს; პირველად 34 წელზე ხნიერებს დაითხოვენ.—გერმანელებს ახალი ნაღმოსნები გამოუგონიათ; ნაღმოსნები უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით მოქმედობენო.

### წერილებიდან

მეთაური. ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკლარაცია.

გრიგოლ რობაქიძე. ისტორიული წამები.

ქართული პრესა. მიწის საკითხი.

შ. ა—შვილი. ახალციხელთა პროტესტი.

ვ. ბარნოვი. ქართული კლუბი.

ი. ქურხული. წერილი დიმიტრი არაყიშვილს.

კორესპონდენცია. კახეთიდან, ბორჩალოდან.

ეროვნული ყრილობის ანგარიში და რეზოლუციები.

ხან მოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გიორგობისთვის 23 გარდაიცვალა

**გიორგი გეჯანის ძე**

**გვალია**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მიცვალებულის ცოლი, ძმები და ძმისწულები.

1—845—1

ღრმად დამწუხრებული ქალიშვილი ალექსანდრა მიხეილის ასული და სიძე კონსტანტინ მიხეილის ძე ტარტარაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 26 ნოემბერს, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი საინგილოში ტრაგიკულად დაღუპულის მღვდელ-მისიონერის

**მიხეილ ყულოშვილის**

სულის მოსახსენებლად.

1—888—1

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარიამ და ძმა იოსებ იგივე (გიორგი) შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 26 ამ თვეს, ანჩისხატის ტაძარში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ფერშლის

**მიხეილ გიორგის ძის**

**ქათამაძის**

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება 9 საათზე, პანაშვიდი თერთმეტის ნახევარზე.

1—886—1

# საქართველოს ეროვნული ყრილობა

## მეოთხე დღე

### რეზოლუციების დამტკიცება

სხდომას ხსნის ნ. ჟორდანია, აცნობს ყრილობას, რომ ყრილობის მიერ არჩეულ სექციებმა მუშაობა დაამთავრეს, და რომ რეზოლუციები უკვე შედგენილია. ნ. ჟორდანია ყრილობას ურჩევს რეზოლუციები ერთხმად მიღებულ იქნას. ამის შემდეგ წაკითხულ იქმნენ შემდეგი რეზოლუციები:

**პოლიტიკურ მომენტზე** ვლ. გობეჩიას მიერ, **საფინანსო პოლიტიკის** ნ. ნიკოლაძის მიერ, **ქონების** აკ. ჩხენკელის მიერ, **ადმინისტრაციის** გრ. გიორგაძის მიერ, **სკოლის** ლ. ნათაძის მიერ, **ხელოვნების** შ. დადიანის მიერ, **სამხედრო** ი. გედევანიშვილის მიერ, **ჯანმრთელობის** პრივ.-დოც. ალ. ჯავახიშვილის მიერ, **სურსათისა**—წერეთლის მიერ. ყველა წარმოდგენილი რეზოლუციები ყრილობის მიერ დამტკიცებულ იქმნა.

### მილოცვები

რეზოლუციების დამტკიცების შემდეგ წაიკითხეს მისალოცი დეპეშები, მათ შორის სომხის მწერლის ოდავანეს თუმანიანისა, რომელიც აქვე ეროვნულ ყრილობაზე იყო. ყრილობა მას მხურვალე ტაშით მიეგება. მისალოცი სიტყვა წარმოსთქვა ამიერ კავკასიის მუსულმანთა კომიტეტის სახელით თობჩიბაშევმა. ამიერ კავკასიის მუსულმანთა კომიტეტს, რომელიც მთელი თავისი შემადგენლობით ლოჟაში იყვნენ, ყრილობა ახურვალე და ხანგრძლივი ტაშის ცემით მიეგება. ქართველთა ებრაელების მხრივ ილაპარაკა ქუთაისის ებრაელების წარმომადგენელმა, ჟურნალისტმა ი. ხანანაშვილმა. ქართველ სომხეთა სახელით ილაპარაკა ვერმიშევმა. ყრილობა ამათაც მხურვალე ტაშით მიეგება.

### ეროვნული საბჭოს არჩევა

პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებით შედგენილ იქმნა სია ეროვნული საბჭოსი, ეს სია დამტკიცებულ იქმნა ყრილობის მიერ. სია შესდგება 67 პირისგან, ამათში შვიდი ადგილი ეძლევათ საქართველოს განაპირა კუთხეებს.

**სია ეროვნულ დემოკრატიის პარტიიდან**

ნიკო ნიკოლაძე, გერონტი ქიქოძე, იოსებ დადიანი, გიორგი ჟურული, გიორგი გვაზავა, შალვა ამირეჯიბი, მიხეილ წაჩაშელი, სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი.

**უპარტიო**

ქ. აფხაზი, კ. მაყაშვილი.

**ბლოკიდან**

პ. ქავთარაძე, ი. გომართელი, ნ. ქარცივაძე, პ. საყვარელიძე.

**მენშევიკებიდან**

ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი, ს. ჯიბლაძე, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, ვლ. ჯუღელი, დ. ონიაშვილი, პ. აბაშიძე, ქ. გვარჯალაძე, ს. მანსურაძე, ა. ჰიაბრიშვილი, პ. გელეიშვილი, რ. არსენიძე, შ. ჩხიკვიშვილი, ნ. ელიავა, მ. ტოროშელიძე, ს. ჯაფარიძე, გ. ურატაძე, ა. ფარნიაშვილი, გ. გიორგაძე, ე. როგავა, გ. კლიმიაშვილი, ვ. თევზაია, ე. სირბილაძე, ნ. ხომერიკი.

**აჭარიდან.**

ჯიბილ ბეგ ხიმშიაშვილი, მეჰმედ ბეგ აბაშიძე, რეჯებ ნიჟარაძე.

**ფედერალისტებიდან**

გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, შ. მესხიშვილი, ი. გედევანიშვილი, ს. ფირცხალავა, დ. უზნაძე, ი. ბარათაშვილი, ი. ბაქრაძე, ი. მდივანი, ა. წერეთელი.

**რ. დემოკრატებიდან**

დ. ჩიქოვანი.

**ს. რევოლიუციონერებიდან**

ქ. მესხი, ვ. გობეჩია, გ. ნათაძე, ვ. ჩერქეზიშვილი, იოს. გობეჩია, ივ. გობეჩია.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ნ. ჟორდანიამ.

**ნ. ჟორდანია.** პირველ ყოვლისა მოგილოცავთ იმ აზრის გამარჯვებას, რომელიც ჩვენმა ყრილობამ გამოიჩინა ეროვნულ საკითხში (ტაში) ამ ყრილობამ დაამტკიცა, რომ ჩვენი ერი არის ერთი მთლიანი ერთეული (მხურვალე ტაში) ამ საბჭოს არჩევით შემდეგ ყრილობას დახურულად ვაცხადებ (ტაში).

### რეზოლუცია პოლიტიკურ მომენტზედ.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მოისმინა რა ინტერ-პარტიულ საბჭოს დავალებული მოხსენება ნ. ჟორდანიასი, შესახებ დღევანდელი მომენტისა და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობისა, დაადგინა:

1) ქართველი ერი დღესაც ისევე, როგორც ასი წლის განმავლობაში სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.

2) ქართულმა დემოკრატიამ დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სვე-ბედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიას და მასთან ერთად მოქმედებით ჰფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და ეროვნული მისწრაფებანი განახორციელოს.

3) რუსეთის შუაგულში გაჩაღებული სამოქალაქო ომის მეოხებით დღეს არ არსებობს ერთი ცენტრალი, რევოლუციონური მთავრობა. ამ გარემოებამ აიძულა ყველა განაპირა ქვეყნები, და, მათ შორის, ამიერ-კავკასია, თავის შინაური საქმეები თავისივე ძალღონით მოეგვარებინა და ადგილობრივი მთავრობა შეექმნათ. ამიტომ ყრილობა მხარს უჭერს ამიერ კავკასიის მართველობას, ეს კომისარიატი საპასუხისმგებლო უნდა იყოს ამიერ კავკასიის სეიმის წინაშე.

4) ყრილობა საჭიროდ სცნობს შესდგეს, როგორც დროებით დაწესებულება საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის შესადგენად ყრილობა ირჩევს 60 წევრს. საბჭოს წევრები თავის ადგილს უთმობენ ამიერ კავკასიის სეიმის ქართველ დეპუტატებს.

5) ადგილობრივ ძალთა თავის მოყრა არა ჰკმარა ყველა მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ჩვენი ძირითადი ინტერესები მოითხოვს დაუყოვნებლივ შესდგეს რუსეთის რევოლუციონური მთავრობა და მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრება.

6) ყრილობა საჭიროდ სთვლის განხორციელებულ იქმნას საქართველოში ისეთი ნორმები, რომელნიც მას საშუალებას მისცემენ თავისუფალ განვითარებისთვის და ავალებენ დამფუძნებელ კრების ქართველ დელეგატებს მოითხოვონ რუსეთის დამფ. კრებაზე ამ ნორმების მიღება. ასეთ ნორმებად არის: **საქართველოს სრული ტერიტორიალი თვითმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ საკითხებზედ.** ტერიტორიის საზღვრები გაიმიჯნება დაინტერესებულ მოსაზღვრე ერებთან შეთანხმებით. საქართველოში მოქცეულ ეროვნებათა უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურულ განვითარებისას. ამ მთავარ კითხვაში შეთანხმება უნდა მოხდეს ამიერ კავკასიის ერთა შორის. საამხანაგო საქართველოს მიენიჭება ფართო თვითმართველობა, ასეთივე ფართო თვითმართველობანი მიენიჭებათ ყველა ამ განაპირა ადგილებს, რომელთა მცხოვრებლები მიისწრაფიან საქართველოს თვითმმართველობის ერთეულში შემოსვლას.

7) თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდა და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდა, უნდა იქნას მოწვეული ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე ცალ-ცალკე ერების, რომელნიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ეროვნულ წყობილებას, როგორც თვითეულ ეროვნულ ტერიტორიალურ ერთეულებში, ისე მთელ ამიერ-კავკასიაში.

8) საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევის ზრუნვა ეკისრება საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

### საფინანსო სექციის რეზოლიუცია.

სანამ არსებობს ჩვენი ქვეყნის ერთობა და მისვლა-მოსვლა რუსეთთან, უნდა ვაწარმოვო ერთი ფინანსიური პოლიტიკა და სულ სხვადასხვა გეგმა და ზომები ეყენება წინ, როცა კავშირი თავის-თავად სწყდება. აგრეთვე როცა მოქმედებს დღევანდელი დროებითი ამიერ-კავკასიის მმართველობა, ჩვენს ქვეყანას და მის საბჭოს ბევრად ნაკლები ფინანსიური საშუალება სჭირია, ვიდრე მაშინ, როდესაც ეს მმართებლობა დაუბრუნდება. რაც მეტი თვით-მართვა აწევს მხარეს, მით უფრო დიდ ფინანსიურ შემოქმედებას ავალებს მას აუცილებელი საჭიროება. სამაგიეროდ ეს მდგომარეობა გაითვალისწინა ფინანსიურმა სექციამ და მივიდა იმ გარდაწყვეტილებამდის, რომ ნორმალურ პირობებში ფინანსიური ძალა მის ხარჯს და პოლიტიკურ საჭიროებას დაჰფარავს. საქართველოს ფინანსიური წარმატება დაავგვირგვინებს და გააძლიერებს ქართულ პოლიტიკურ პარტიების შეთანხმებას და მოქმედებას.

საქართველოს ფინანსიური მხარე გაამაგრებს და გააძლიერებს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას.

### ადმინისტრატიული სექციის რეზოლიუცია

პირველმა ეროვნულმა ყრილობამ მიიღო რა მხედველობაში:

1) რომ ადმინისტრატიული თვითნებობა, სასამართლოს და ადმინისტრაციული ფუნქციების ერთმანეთში არევა ძირიანად ეწინააღმდეგება ადამიანის და მოქალაქის ელემენტარულ უფლებათ;

2) რომ საუკეთესო რესპუბლიკანური ნორმებიც ვერ მიაღწევენ თავიანთ მიზნებს, თუ არ არსებობენ შესაფერი ადმ. კომიტეტები,

3) რომ მხოლოდ ხალხიდანვე შექმნილი და მის კონტროლ ქვეშ მყოფი ადმინისტრაციას შეუძლიან დაიცვას რესპუბლიკანური კანონები,

დაადგინა:

ა) წესიერების დამცველი ადმინისტრაცია მილიცია მთელი თავისი შემადგენლობით უნდა იმყოფებოდეს თვითმართველობების განკარგულებაში. თვითმართველობა ადგენს და ხელმძღვანელობს მას თანახმად საერთო შემუშავებული დებულებისა და მაშინაც-კი, როდესაც წესიერების დამცველი ადმინისტრაცია მოქმედობს ავტონომიურად, ის იმყოფება თვითმართველობების საერთო კონტროლის ქვეშ.

ბ) არავითარი სასამართლოს ფუნქციები არ შეიძლება მიენიჭოს ადმინისტრაციას.

გ) ყოველივე უკანონო მოქმედებისათვის ადმინისტრატიული პირები პასუხისმგებელნი არიან სასამართლოს წინაშე და ყველა მოქალაქეს ნება აქვს განასაჩივროს ადმინისტრაციის უკანონო მოქმედება.

დ) ყრილობა აუცილებლივ სცნობს, რომ სასოფლო, სარაიონო და სამაზრო ადმინისტრაციულ ორგანოებში დაუყოვნებლივ მოხდეს სრული გაეროვნება: შემოღებულ იქმნას საქმის წარმოება ქართულს ენაზე. საგუბერნიო და საოლქო ადმინისტრატიული ორგანოების გაეროვნება მოხდეს თანდათანობით, რომ სხვა ერების ინტერესები არ შეილახოს.

ე) მთელი ადმინისტრაცია უნდა იყოს ავანგარდი რევოლუციის დასაცავად და მუდამ მზად უნდა იყოს კონტრ-რევოლუციასთან გასამკლავებლად.

ვ) ეროვნული ყრილობა სცნობს, რომ დღეს ადმინისტრაცია-მილიცია არის რევოლუციით მოპოებულ უფლებათა დამცველი და მხურვალედ მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, განსაკუთრებით ჯარისკაცებს და ოფიცრებს, რომ თავიანთი ცოდნა, გამოცდილება და გამბედაობა მოახმარონ ამ საპასუხისმგებლო და საპატიო მოღვაწეობას.

### სამხედრო სექციის რეზოლუცია

ქართული ჯარი, როგორც ნაწილი რუსეთის რევოლუციონურ ჯარისა, ემორჩილება იმ სამხედრო წესდებას, რომელნიც რევოლუციონურ პროცესში გამოსცა დროებითმა მთავრობამ. სარევოლუციო ორგანიზაციების მოწყობა ქართული ჯარის ერთეულში ხდება იმ წესით, რომელიც შეიმუშავა კავკასიის სალაშქრო საბჭომ 1917 წლის ივანობისთვის 9 ყველა იმ შესწორებით, რაიცა შემდეგ ამისა მიიღო იმავე საოლქო სალაშქრო საბჭომ. რაც შეეხება ქართული ერთეულების გამგეობას, ეს საქმე სავსებით ქართულ ეროვნულ საბჭოს კომპეტენციას უნდა შეადგენდეს.

ეროვნული საბჭო ირჩევს ქართული ჯარის უფროსთა შემადგენლობას.

ვინაიდან ქართული სამხედრო ერთეულების შედგენას მოითხოვს დღევანდელი მომენტი, ეროვნული ყრილობა ეროვნულ საბჭოს შემდეგს ავალებს:

1) ეროვნულმა საბჭომ იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რათა ყოველ მსურველ ქართველ ჯარისკაცს ნება მიეცეს ქართულ ერთეულებში გადმორიცხვისა.

2) ეროვნულმა საბჭომ მიჰმართოს ქართველ ერს, ამ დიად მომენტში მიიღოს მონაწილეობა ქართულ ერთეულების შედგენაში და შევსებაში.

3) ქართველმა დეზერტირებმა სამხედრო ბეგარა ქართულ ერთეულებში უნდა მოიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ წინააღმდეგ ზომები იქნება მიღებული.

### ქონების სექციის რეზოლიუცია.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მოისმინა ქართულ თავად-აზნაურობის ორივე გუბერნიის წინამძღოლთა მოხსენებანი იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობის დადგენილებით 29 ოქტ. და 8 ნოემბრის თარიღებით, მთელი მისი, ორივე გუბერნიის თავად-აზნაურობისა, კოლექტიური ქონება, ქონებრივი უფლებები და ვალდებულებანი აღიარებულია ქართველ ერის მფლობელობად და უნდა გადაეცეს, ვიდრე საქართველოს თვითმართველობის საჯარო უფლებრივი ორ-

განო დაარსდებოდეს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს. დაევალოს ხსენებულ საბჭოს ჩაიბაროს ქართველ თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოდან მისი, თავად აზნაურობის, როგორც წოდებრივი ორგანიზაციის, უძრავი და მოძრავი ქონება, ქონებრივი უფლებანი და მიიღოს აგრეთვე მისი ვალდებულებანი, ჩაიბაროს თავად-აზნაურობის საკრებულოთაგან საქმეები და არქივები.

იკისროს ამ ქონების მოვლა-პატრონობა და ვალდებულებათა ასრულება და მიიღოს ყველივე საშუალება, რათა თავად-აზნაურობის ქონებრივი უფლებანი უკლებლივ და მთლიანად ჩაბარდეს მას.

## სასურსათო სექციის დადგენილებანი

I. საქართველოს ეროვნული ყრილობა ითვალისწინებს თანამედროვე მდგომარეობას და ჯარის დემობილიზაციას, რაც გამოიწვევს ჩრდილოეთიდან რკინის გზათა და ზღვით სურსათის გადმოტანის შეჩერებას, ავალებს ეროვნულ საბჭოს, მოაწყოს განსაკუთრებული სასურსათო სექცია, რომელიც მჭიდრო კავშირს დაიჭერს, როგორც ამიერ კავკასიის მთავრობასთან, და საოლქო სასურსათო კომიტეტთან, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მთავრობასთან, დაამზადებს საჭირო სურსათს და მოაწყობს მის გადმოზიდვას სამხედრო გზებით.

II. ყრილობა ავალებს ეროვნულ საბჭოს დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს სურსათის დანაწილება მთელ საქართველოში, რისთვისაც უნდა გამოიცეს განსაკუთრებული მოწოდება საბჭოს სახელით, [illegible] ხმარით, რათა ზედმეტი პური გადასცენ სასურსათო ორგანიზაციებს მტკიცე ფასებში.

III. ყრილობა სასურველად სცნობს, რომ სურსათის საქმე, ისეთ ორგანიზაციების ხელში იყოს, რომელნიც ერთი მხრივ მთელი დემოკრატიის ნდობით იქნებიან აღჭურვილი და მეორე მხრივ საჯარო უფლებათა მატარებელნი: ასეთები კი არიან — ადგილობრივი თვითმმართველობანი. დღესვე გადაეცეს ქალაქთა თვითმმართველობებს ეს საქმე და დაუყოვნებლივ შემოღებულ იქმნას ერობა.

V. სანამ ერობა შემოღებული არ იქნება, მანამ ძალაში რჩება საგუბერნიო სასურსათო კომიტეტები.

VI. რადგან ჩვენში არსებობენ კოოპერატიული ერთეულები აუცილებელია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მოქმედებაში ეყრდნობოდნენ კოოპერატივებს და მათ კავშირებს.

თბილისი, გიორგობისთვის 25.

# ამიერ-კავკასიის მთავრობის დეკლარაცია

ამ დღეებში ამიერ კავკასიის ახალმა მთავრობამ გამოსცა პირველი დეკლარაცია, მიმართული ამიერ-კავკასიის ერებისადმი. დეკლარაციაში აღნიშნულია ის მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაარსება და ახალი მთავრობის შექმნა.

დეკლარაციაში ჩამოთვლილია რიგი იმ რეფორმებისა, რომელთა ცხოვრებაში გატარებასაც ფიქრობს ამიერ-კავკასიის ახალი მთავრობა.

აწეწილ-დაწეწილი ფინანსების მოწესრიგება, ლაშქრისა და მცხოვრებთა ხსნა აუცილებელ სიმშილისაგან და მათი უზრუნველყოფა სურსათით, ტრანსპორტისა და გზების გაუმჯობესება, დემობილიზაცია სწორი და უვნებელი ზავის შეკვრის დროს, სასტიკი კონტროლი წარმოებისა და შრომის განაწილების შესახებ, შრომისა და მუშების კლასის ინტერესების დაცვა, ერობის შემოღება და დემოკრატიულ ერობათა კომიტეტების ორგანიზაციათა შედგენა და მათ ხელში გადაცემა სახელმწიფო, საბაზინო და საეკლესიო მიწებისა, აგრეთვე კერძო მსხვილ მემამულეთა მიწების კონფისკაცია, წოდებრივობის უპირატესობათა გაუქმება და უმთავრესად ეროვნულ საკითხის გადაჭრა.

დეკლარაციაში საკმაოდ დაწვრილებით არი ჩამოთვლილი რეფორმები, მხოლოდ ყრუდ არი ნათქვამი ეროვნულ საკითხის გადაჭრაზე. ამიერ კავკასიის რესპუბლიკის მთავრობას უნდა ახსოვდეს რუსეთის ცენტრის დაშლის გაკვეთილები. მთავრობამ არ უნდა დაივიწყოს რომ ამიერ-კავკასიის ერებში არსებობს სხვა და სხვანაირობა ინტერესების ხანდისხან სრულიად საწინააღმდეგო. ამისათვის უნდა იზრუნოს შემოქმედება გამოიჩინოს ისეთ სფეროში, რომელსაც შეუძლია ამ ერების გაერთიანება და ერიდოს ისეთ საკითხების წამოყენებას, რომელთაც შეუძლიათ გათიშონ ახალი მთავრობა, ისე, როგორც გაითიშა და დაინგრა ცენტრი. ფინანსების, სასურსათო საქმეთა მოწესრიგება და ფრონტის კითხვა ყველას გააერთიანებს. რაც შეეხება ფართო სოციალურ რეფორმების ექსპერიმენტებს, ამას ჯერჯერობით არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რაც შეეხება ასეთ საკითხებს, ამაზე იზრუნებს და მოაწესრიგებს ეროვნული საბჭოები, რომელნიც დღეს სდგებიან ამიერ კავკასიაში, თუ ეს საკითხები ამ საბჭოებში არ გატარდა, მაშინ შეიძლება ბაბილონის ენათა არევის გამეორება. ეს მოსაზრება რომ მართალია, ეს იქიდანაც სჩანს, თუ რა გამწვავება გამოიწვია თვითონ მთავრობის შედგენის დროს მიწათმოქმედების სამინისტროს რუსის ესერის ნერუჩევის ხელში გადასვლამ, რომელმაც ისე გაყო ხმები, რომ ნერუჩევი მხოლოდ უმცირესობის წარმომადგენელია ახალ მთავრობაში.

ამიერ კავკასიის მთავრობა უნდა ერიდოს დეკრეტების სენით შეპყრობილ ბოლშევიკურ „მთავრობის“ მიბაძვას.

# ისტორიული წამები

ძველია გადმოცემა: ქართველი ძლიერია უფსკრულის პირას მიყენებული. მანამდე იგი თითქო სუსტია და მოდუნებული: ხელის მოქნევა ეზარება აქვს და ნება ძალზე მინელებული. ხოლო, როცა პირდაპირ უფსკრულს მიადგება, საცა მხოლოდ საშინელი გადაჩეხვაა მოსალოდნელი, მაშინ იგი, ვით შმაგი ვეფხვი საფრთხის წინაშე, იკუმშება სასტიკი ძალ-მოკრებით და უტეხი ძლევა-მოსილებით ელვარებს მახვილს. ამას მოწმობს მრავალი ტეხილი საქართველოს ისტორიისა, ამას აცხადებს მრავალი ფაქტი ქართველის სიცოცხლისა. დაჭრილი ქართველი დაჭრილი ვეფხვის ნახტომით [illegible]. ასეთია ჩვენი ეროვნული ტემპერამენტი.

ეს საოცარი თვისება ამ ისტორიულ დღეებშიაც მარჯვეთ გამოვიჩინეთ. მსოფლიოს მოედვა ომის ცეცხლი. სამყარო იწვის. მიწის პლანეტა ქაოსის ფრთებით უფსკრულისაკენ მიექანება. რუსეთი წაიღო რევოლიუციის ქარიშხალმა. ირღვევა საუკუნოებით ნაშენი. იმსხვრევა ყველი. შემოქმედება გაიყინა. აპოკალიპსის „მცხრალი ცხენი“ ლანდი თარეშობს ყოველგან. ყოველის მხრით უფსკრულია გათხრილი. და აი ამ „განკითხვის ჟამს“, როცა საქართველოსაც დაუდგა მედისწყრითი საშინელებით კითხვა „ყოფნა-არ ყოფნისა“, იგი იჩენს ნამდვილს ვეფხურს ძლიერებას: აჩქარებული ქართველი სიდინჯით იმართება; იმპულსივი ქართველი ფიქრით იმედება; მოდუნილი ქართველი ნების ფოლადს ამახვილებს. ეს მოხდა საქართველოს ეროვნულს ყრილობაზე. ამ ყრილობით დაიწყო ჩვენი ახალი უდიდ-ტეხილი. ეს ყრილობა „ისტორიულია“ უდიდრესად.

ჯერ თვითონ „გარე სახე“ ყრილობის. მრავალს ქართველს ერთგვარი შიში მოიცავდა. „პროვინციალი“ არ გამოსულიყო ყრილობა. აქის რადაც საცნაური „პროვინციალსა“ და „სატახტოში“. ეს არ არის უბრალო დაპირისპირება: არც გეოგრაფიული და არც ადმინისტრატიული. ამ დაპირისპირებაში უფრო ღრმა შინაარსია ფარულად ნაგულისხმევი: სიცოცხლე თავისთავადური, თავისუფალი („სატახტო“) და სიცოცხლე ფუნქციონალი, დამოკიდებული („პროვინციალი“). საბედნიეროდ ქართველთა ყრილობაზე ასეთი შიში არ გამართლდა: პირიქით: ყრილობა უთუოდ ატარებდა „სატახტო“ სტილს აკაკი ჩხენკელის შესავალ სიტყვიდგან ნოე ჟორდანიას უკანასკნელ სიტყვამდე. აქ იყო ერის ხელმწიფებითი თავის-თავადობა, აქ იყო პოლიტიკური გამოცდილება, აქ იყო ზომა-შერჩენილი დიდი ისტორიული პათოსი. ყოველი ეს „გარე-სახეა“ თითქო, მაგრამ თუ ღრმად შევიცნობთ მას, მის გარეგან სახეში მეტად გულისხმიერს „შინა-სახეს“ დავინახავთ.

და დავინახეთ კიდეც ასეთი სახე. ყრილობა დაირაზმა სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიების ზოლებით. ხოლო, მიუხედავად ამისა, საოცარი ის იყო, რომ მთელი ყრილობა ერთს მაგარს რაზმს წარმოადგენდა. აღარსად სჩანდა ჩვეული ჯგუფური დაყოფა, აღარსად ისმოდა საშინელი „შენ-ჩემობა“, აღარ იყო: შუღლი, შური, ღვარძლი, უნდობლობა, გაუტანლობა. ამ ყრილობაზე მოისპო საქართველოს ისტორიის პირვანდელი ცოდვა: არწამება მთელისა და ნაწილთა შორის ერთი მეორის მანადგურებელი განხეთქილება. აქ ვიგრძენით პირველად ნამდვილი ეროვნული ქმედითი ეროსი: სიყვარული არა რაღაც განყენებულისა, არამედ ჭეშმარიტი ცოცხალი არსისა. ყრილობამ ამხილა შეუცნობელი სიყვარული საქართველოსადმი, რომელიც თურმე მიყუჟებულ ცეცხლსავით ყოფილა მიმალული ჩვენში. საქართველო აღიმართა როგორც დიადი მთელი: იგი დადგა ყოველის განსაზღვრულების მაღლა: იგი გამოცხადდა როგორც დაუშრეტელი უზენაესი არსი. სად იყო პოლიტიკური „დოღმა“? სად გაქრა პარტიული „პროგრამა“?! სით გაფრინდა ვიწრო ჯგუფური „ლოზუნგი“?! ამ ყრილობაზე ჩვენ შევიცანით უკანასკნელს წვეთამდე, რომ საქართველო უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე რომელიმე „დოღმა“, „პროგრამა“, „ლოზუნგი“. განა უზენაესი მთელი, დიადი სოციალური სხეული — რომელიმე ფარგლებში დატევა?! საქართველომ გაარღვია ყოველი რკალი ჩვენ მიერ შექმნილი და თვითონ გაიშალა უხილავი ერთს უსაზღვრო მზეოსან რკალად: საქართველო — არა როგორც ემპირიული ფენომენი, არამედ როგორც მეტაფიზიური მყოფადი: საქართველო ყოფილი, არსებული, საყოფელი. ამ რკალმა მოგვცვა უზებლივ ყრილობის მონაწილენი და მე — დაკარგულები ნეტარებით ვძირებოდით მის თბილს ნირვანაში. განვიცადეთ საქართველო მთელი მისი ისტორიული სხეულებით, როგორც ფესვები განიცდიან ფესვებს ათასი წლის მუხისას. ვიხილეთ ქმედითი ერი ჩვენი და ვიგრძენით მთელი ქართველობა ვით ეროვნული ტანი მრავალ საუკუნოთა შორის ხორციელებული. ჩვენში აღიმართნენ წინაპარნი ჩვენნი: კეთილშობილი რაინდები მრისხანე მახვილებით და მზით-მოსილი შემოქმედნი გენიალური პროფილებით. გარღვეულა ყოველი ზღუდე, დაიმსხვრა ყოველი ზღვარი: „მე“, „შენ“, ახლანდელი ჟამი და წარსული. დაიბადა ჩვენი უცნაური ეროვნული აპერცეპცია: „საქართველო — ეს მე ვარ“. მის მაგიერ ჩაისახა სხვა შეგნება, უფრო სწორი და მართებული: „ჯერ საქართველო — და მერე მე“. ნოე ჟორდანიამ თავისი უკანასკნელი ისტორიული სიტყვით მხოლოდ ეს ფსიხოლოგიური ამბავი დაადასტურა: „ამიერიდან არსებობს ერთი ქართველი ერი“.

ყრილობაზე გაისმოდა ერთი რამ დამაფიქრებელიც. ყველა იმას ამტკიცებდა, რომ საქართველოს თავისუფლება ნაყოფია რუსეთის რევოლუციისა. ბევრი, შესაძლოა, ამ ფორმულას ისე გაიგებს, თითქო ჩვენ ჩვენი ძალებით კი არა, გარეშე ძალებით მოგვეპოვოს თავისუფლება. არას გზით ეს გაგება მისაღები არ არის. ჯერ ერთი: რუსეთის რევოლუციის ავანგარდი იყო და არის საქართველო. რამდენი რაინდი რევოლუციონერი მისცა რუსეთს საქართველომ?! რუსეთის რევოლუციის ისტორია საქართველოს გამორიცხვით არას გზით არ დაიწერება. ქართველი რევოლუციონერია ნების ტემპერამენტით. და დააკვირდით: იმ დროს, როცა რუსეთი რევოლუციიდგან ანარქიისაკენ მიექანება, საქართველო მთელს ამიერ კავკასიაში განაგრძობს რევოლუციის ორგანიზატორულ გზას. საქართველო რევოლუციის ცეცხლის შესანიშნავი კუთხეა და მაშასადამე „ხვისით“ არ არის ნაშობი მისი თავისუფლება. და თავი და თავი: ერი, რომელიც ჰქმნის ასეთს ერთსულოვან ყრილობას, ერი, რომელიც აცხადებს ასეთს სახელმწიფო შეგნებას, ერი, — რომელიც ასეთის ზომით აფოლადებს თავის თავადურ ნებას, — ის ერი „თავის — უფალია“ თვისგნით და მაშასადამე იმ თავითვე თავისუფალი: იგი ასეთ ჟამს მხოლოდ უხეშ წონობას იცილებს თავითგან.

საქართველოს ისტორიაში ახალი ულტეხილი აღიმართა მზეოსანი: ქართველმა იხილა საყოფელი საქართველო. ამიერიდან საქართველოს არა უშავსრა. მრავალი ქართველი, მომსწრე ამ ისტორიულის წუთების, იტყვის უთუოდ: „აწ განუტევე მონა შენი“.

გრიგოლ რობაქიძე.

# ქართული პრესა

**ამიერ კავკასიის კომისარიატი და მიწის საკითხი.**

ქუთაისური გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ თავის აზრს გამოსთქვამს ამიერ კავკასიის კომისარიატის დეკლარაციის შესახებ და სხვათა შორის ამბობს:

„დეკლარაციაში მმართველობა ამბობს: მოკლე მომავალში გამოიცემა დეკრეტი სახელმწიფო-სწულო, სამონასტრო, საკაბინეტო და დიდ მიწის მფლობელთა მიწების ჩამორთმევის შესახებო.

არ გვჯერა, რომ ამ კითხვის გადაჭრა მოახერხოს მმართველობის დღევანდელმა შემადგენლობამ.

მიწათ-მოქმედების მინისტრი ნერუჩევი ესერია და რა თქმა უნდა მას თუ თავის პარტიული მრწამსი სწამს, სოციალიზაციას მოითხოვს.

ეს განზრახვა კი არა თუ უმტკივნეულოდ ჩატარდება, არამედ საშიშ ანარქიასაც გამოიწვევს.

ამიერ კავკასიის მმართველობას უპირველეს ყოვლისა კი ევალება ამიერ-კავკასიის ანარქიისგან დაფარვა, ამ მხრის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა, და ჯარის დემობილიზაციის წესრიგით მოხდენა.

მიწის კითხვა და სხვა სოციალ-გარდაქმნის კითხვები უნდა მოაგვარონ თითოეულ ეროვნულ ერთეულის ცალ-ცალკე მოწვეულმა დამფუძნებელმა კრებებმაო“.

# ზავის გარშემო

## ზავი გერმანეთთან

### გერმანული პრესა

კოპენჰაგენი. გიორგობისთვის 26 (ახალი სტილით). დროებით ზავის წინადადებაზე „Berl. Tagiblatt“-ში ფორსტის საყურადღებო წერილია მოთავსებული. ამ წერილში („ბოლშევიკური ზავი“) იგი სწერს: ბოლშევიკური ზავი უარჰყოფს ეროვნულ ინტერესებს... იგი ამათ მსხვერპლად სწირავს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ინტერესებს. ფორსტი ამტკიცებს: გერმანეთში არ არის ისეთი პარტია, რომელიც ასეთ პროგრამაზე ხელს მოაწერსო. გერმანეთის სოციალისტების პლატფორმა სრულებითაც არ ჰგავს ამ პროგრამას. დასასრულ ფორსტს საეჭვოდ მიაჩნია, რომ ლენინი ბურჟუაზიულ დიპლომატიას თავის გზაზე გადაახვევინებს და ამიტომ შეუძლებლად მიაჩნია დაუყოვნებლივ საყოველთაო დროებითი ზავი.

### ლორდ სესილის განცხადება

„მე არ მჯერა, რომ დროებით ზავის წინადადება რუსი ერის სურვილების გამომხატველი, ეს წინადადება სრული დარღვევაა ლონდონის ხელშეკრულებისა რომელიც 1914 წ. ენკენისთვის 5 მოხდა. სეპარატიულ ზავის შეკვრა გერმანეთთან სრული დარღვევა იქნება აღთქმულ პირობებისა. ესეთი საქციელი რუსეთს საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილეობას მოუსპობს. მაგრამ მე არ მჯერა, რომ რუსის ერმა მხარი დაუჭიროს იმ ადამიანების გამოსვლას, რომლებიც თავს მთავრობად აცხადებენ და ამასთან მოუწოდებენ გენერლების დასახოცად და ფრონტზე დროებით ზავის ჩამოსაგდებად.

### გერმანეთის მთავარ-სარდლის პასუხი

გიორგობისთვის 16 ს „იზვესტიაში“ მოთავსებულია გერმანიის უმაღლეს მთავარ-სარდლის პასუხი: 1) გერმანეთის აღმოსავლეთ ფრონტის მთავარ-სარდალი თანახმაა მოლაპარაკება გამართოს რუსეთის უმაღლეს მთავარ-სარდალთან. 2) გერმანეთის აღმოსავლეთ ფრონტის მთავარ სარდალს დავალებული აქვს გერმანეთის უმაღლეს მთავარ-სარდლისაგან დროებითი ზავის ჩამოსაგდებად მოლაპარაკების წარმოება. 3) თუ რუსეთის უმაღლესი მთავარ-სარდალი ისურვებს მოსალაპარაკებლად, სთხოვენ, გამოგზავნოს კომისია რწმუნებულთა და გამოატანოს სათანადო წერილობითი საბუთებით გერმანეთის აღმოსავლეთ ფრონტის მთავარ სარდლის ბანაკში წარსადგენად. 4) გერმანეთის აღმოსავლეთ ფრონტის მთავარ-სარდალი აგრეთვე აირჩევს თავის კომისიას და სათანადო რწმუნებულებით დააკისრებს. 5) ორივ კომისიების შეხვედრის დღეს და საათს დანიშნავს რუსეთის უმაღლეს მთავარ-სარდალსაც შეუძლიან. საჭიროა ამის თავის დროზე შეტყობინება, რომ გერმანეთის აღმოსავლეთ ფრონტის მთავარ-სარდალმა მოამზადოს საჭირო მატარებელი. საჭიროა აგრეთვე იმის შეტყობინება, თუ რომელ ადგილას აქვს გადალახვა განზრახული რუსეთის კომისიას. 6) გერმანეთის ფრონტის მთავარ-სარდალი დაუთმობს საჭირო აპარატს, რომ კომისიას პირდაპირ მავთულით ლაპარაკი შეეძლოს რუსეთის უმაღლეს მთავარ სარდალთან. კომისიას ნება აქვს იუზის აპარატები თან იქონიოს.

გერმანეთის აღმოსავლეთ ფრონტის მთავარ-სარდალი

მართალია. ფონ [illegible] გენ.-ლეიტენანტი და დივიზიის უფროსი.

### შვეცია შუამავლის როლში

შვეციის სამეფომ მიიღო ტროცკის წინადადება, რომ საზავო მოლაპარაკების დროს შუამავლად ყოფილიყო რუსეთსა და გერმანეთს შორის.

### ჯარის დათხოვნა

სახალხო კომისართა საბჭომ შეიმუშავა წესი ჯარის დემობილიზაციისა. დროებითი ზავის ჩამოგდებისთანავე დაითხოვენ ყველა ჯარისკაცებს 32 წლისაზე ხნიერებს.

### დროებითი ზავის პირობები

დროებითი საზავო ხელშეკრულება ბოლშევიკებს უკვე დაუდვიათ გერმანეთთან, ავსტრია-უნგრეთთან და ბულგარეთთან, რომელთა სახელით მოქმედებდა გერმანელთა ჯარების მთავარ-სარდალი პრინცი რუპრეხტი. დროებითი ზავი 3 თვეს უნდა გაგრძელდეს, რომლის განმავლობაში არავითარი გადაჯგუფება არ უნდა მოხდეს, როგორც ფრონტის ერთ მხარეზე ისე მეორეზე, ხოლო გერმანეთს უფლება არა აქვს საფრანგეთის ფრონტზე გადაიყვანოს ჯარი.

### რუსეთის გერმანეთთან დაახლოვება

გერმანული გაზეთი „ფოსიშე ცაიტუნგი“ სწერს, მომავალში გერმანეთსა და რუსეთს საერთო ინტერესები ექნებათ, მათ ერთად, შეერთებულის ძალით უნდა დაიცვან ევროპა ინგლის-საქსონელთა მსოფლიო ბატონობისაგან.

## ზავი ავსტრია-უნგრეთთან

### რუმინეთის ფრონტზე

გიორგობისთვის 20-ს ღამე რუმინეთის მთავრობის ნებართვით მოვიდნენ პარლამენტარები. მთელ ფრონტზე დროებითი ზავია გამოცხადებული.

## ზავი ოსმალეთთან

### სალაშქრო კომიტეტის მოწოდება

კავკასიის ლაშქრის საარმიო კომიტეტმა ზავის ჩამოგდების გამო ჯარს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ამბობს, რომ ჯარის უმაღლესი საბჭო იმ გზას დაადგა, რომელიც ლაშქრის ძლიერმა ნებისყოფამ უკარნახა და ზავი ჩამოაგდო. ამიერ-კავკასიის კომისარიატი არ შეუშინდა დიდ პასუხისმგებლობას და გაბედვით აასრულა ჯარისკაცის სისხლით დაწერილი მცნება. კავკასიის ლაშქარი ერთ საათსაც არ იბრძოლებს. ეხლა ჩვენ სიწყნარე უნდა დავიცვათ და საბოლოო ზავის ჩამოგდებას დაუცადოთ ბრძოლის ველზე. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მცხოვრებლებს მოუწოდა, ჯარს არაფერი დააკლონ, თუნდაც თვითონ შიმშილი მოელოდეთ. სამაგიეროდ, ჩვენცა გვმართებს მცხოვრებლებს დროებითი ზავის დროს ისევე ვემსახურებოდით, როგორც აქამდე.

# ბოლშევიკების დიქტატურა

## პეტროგრადში

### საზღვაო სამინისტროში

ახალი მთავრობა აწყობს საზღვაო სამინისტროს გამგეობას. საზღვაო სამინისტროს მაგიერ სდგება უმაღლესი საზღვაო კოლეგია. კოლეგიაში შედიან სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისარი დიბენკო, საზღვაო სამინისტროს გამგე პირველ რანგის კაპიტანი მ. ივანოვი და შავზღვის ფლოტის წარმომადგენელი.

### დეზერტირების ამნისტია

დასავლეთის ფრონტის სამხედრო სარევოლუციო კომიტეტმა გამოსცა ბრძანება № 10, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: დეზერტირობისთვის დასჯილ, თავისნებით წამოსულ ჯარის კაცებს ეპატიებათ დანაშაული, თუ გიორგობისთვის 26-მდე იქვე ჩადგენილი.

### გლეხები ლენინის წინააღმდეგ

ციმბირის გლეხთა ერთ სამაზრო ყრილობაზე დაადგინეს მიწის საკითხის შესახებ გამოცემულ დეკრეტის გამო პროტესტი განუცხადონ ლენინს და უთხრან, რომ გლეხების საქმეში ნუ ჩაერევა.

### ხმები ახალი ფულის შესახებ

პეტროგრადში მეტად გახშირდა ხმები, ვითომც სახალხო კომისრების საბჭოს განიზრახავს ახალ ფულის გამოცემა. ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია.

# მოსკოვში

### ტელეფონის განახლება.

ტელეფონის სადგურის კომისარი იუწყება: ტელეფონი მოქმედებას ქრისტეშობისთვის პირველიდან დაიწყებსო.

### სამხედრო სასწავლებლების დაშლა.

მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსმა მურალოვმა ბრძანება გასცა: ყველა სამხედრო სასწავლებლების და პრაპორშჩიკის სკოლის იუნკრები დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ სამხედრო უფროსთან სათადარიგო პოლკებში ჩასაწერად.

### რადიოტელეგრაფის სადგური ჯარისკაცების ხელში

მოსკოვის რადიოტელეგრაფის სადგური ჯარისკაცების ხელშია. ახლად აირჩიეს უფროსები. სადგურის უფროსად არჩეულია ჯარისკაცი. მის თანაშემწედ საქმის მწარმოებლად — ჯარისკაცი. სადგურზე აღარც ერთი სპეციალისტი არ არის.

# პროვინციაში

### ტაშკენტის ამბები.

ტაშკენტიდან იუწყებიან: ბრძოლის შემდეგ მთავრობა მშრომელ ხალხის ხელში გადავიდაო. გენერალი კოროვნიჩენკო შეიპყრეს. მთავრობა დროებით ოლქის აღმასრულებელ კომიტეტის ხელში გადავიდა.

### ირკუტსკში.

იაკუტის ოლქში, ირკუტსკის გუბერნიაში და ქალაქ ვერხნეუდინსკსა და კანსკში წესრიგი არ დარღვეულა. კრასნოიარსკი ბოლშევიკების ხელშია. ტელეგრაფი მოწყვეტილია.

### ვოლოგდაში.

ორთქლმავლებზე მოსამსახურეთა კომიტეტმა თანხმობა გამოსთქვა, ისეთ ახალ მთავრობის შედგენაზე, რომელშიც შევლენ ყველა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები გარდა ბოლშევიკებისა, კერენსკი მთავრობაში არ უნდა მოჰყვეს.

### აფიცერის დაწვა

ყაზანის პრაპორშჩიკთა სკოლის უფროსი პრაპორშჩიკი მეინერი ჯარის კაცებს ცეცხლზე დაუწვამთ.

### კავკასიის ფრონტზე

ჟორდანიას ხარკოვის კომისარ სანესტოს პირდაპირი მავთულით შეუტყობინებია: კავკასიის ფრონტზე ჯარის კაცები ატუსაღებენ თავის ამხანაგ ბოლშევიკებს და თვითსამართლებას უქადიან. ბოლშევიკები თხოულობენ თურმე შინ რუსეთში გადაყვანას.

# ეროვნული საკითხი

### ინგლისელთა დეკლარაცია პალესტინის შესახებ

დიდ ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალი დეკლარაცია:

„მის უმაღლესობის მთავრობა სრული თანხმობაა, რომ პალესტინა შეიქმნას ებრაელობის ეროვნულ ცენტრად. უმაღლესობის მთავრობა არას დაზოგავს ამ მიზნის განხორციელებლად. ამასთან უზრუნველყოფილი იქნება ამ ქვეყანაში მცხოვრები ერების მოქალაქობრივ და სარწმუნოებრივ უფლებათა სრული ხელშეუხებლობა“.

# უკრაინა და რუსეთი

### ცენტრალი რადა და კალედინი

გიორგობისთვის 15 ის „ნოვაია ჟიზნ“-ი გადმოგვცემს: ცნობა, ცენტრალი რადა კიევში უკრაინულ ჯარს იწვევს. გზადებიან კალედინის ჯართან მოსალოდნელ შეტაკებას. კალედინის რადის მიმართ მტრული პოზიცია უჭირავს.

### რკინის გზის კავშირის ნებართვა.

გიორგობისთვის 14. რკინის გზის კავშირმა ცენტრალ რადას კიევში უკრაინულ ჯარის გადაყვანის ნებართვა უბოძა. რადას აზრად აქვს კიევში 8 ეშელონი გაგზავნოს.

# ფინლანდია და რუსეთი

### ახალი სენატი

ფინლიანდიის სეიმმა ხმის უმრავლესობით (100 ხმით წინააღმდეგ 80-ისა) გადასწყვიტა კოალიციურ სამინისტროს მაგიერ ბურჟუაზიულ სენატის შედგენა დაევალოს სეიმის ყოფილ ტალმანს სვინხუფვუდს. სენატში შევლენ შვედომანების, სტაროფინების, მლადოფინების და აგრარულ პარტიის წარმომადგენლები.

# ეკონომიური ცხოვრება

## გამოუზიდავი სურსათ-სანოვაგე.

სახალხო კომისართა საბჭოში მიღებულ ცნობებით ვლადივოსტოკში დაგროვილია 42 მილიონი ფუთი სურსათ-სანოვაგე და პირველ საჭიროების სხვა საგნები. სამხრეთ რუსეთში კი 5 მილიონი ფუთი პური ყოფილა გამოუზიდავი.

## ქარხნების დახურვა.

სამხრეთ რუსეთში დაიხურა მთელი რიგი ფოლადისა და თუჯის ჩამომსხმელი ქარხნებისა. მიზეზი სათბობი მასალის უქონლობაა. დახურული ქარხნები რამდენიმე მილიონ ფუთს რკინას, ფოლადს და თუჯს ამზადებდნენ.

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **დროებითი ზავი.** იმ შემთხვევისათვის, თუ ოსმალეთიდან დამაკმაყოფილებელი პასუხი მოვიდა დროებითი ზავის შესახებ, ამიერ-კავკასიის კომისარიატმა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალთან ერთად გადასწყვიტა მოაწყოს დროებითი ზავის კითხვების განსახილველად კომისია, რომელშიაც შევლენ: 2 წარმომადგენელი მთავარსარდლის შტაბის, კავკასიის მხედრობის [illegible]; მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების მხრივ—თითო და კავკასიის სადიპლომატო საქმეთა მოხელე.

◆ **ამიერ კავკასიის კომისარიატმა** წინადადება მისცა რკინის გზებს, დაუყოვნებლივ დატვირთონ ხოლმე და საჩქაროდ გამოგზავნონ ფრონტისათვის ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე, განსაკუთრებით ფქვილი.

◆ **ქალაქების წარმომადგენელთა** ყრილობაზე, რომელიც ამა თვის 30-ს უნდა მოხდეს თბილისში, საორგანიზაციო ბიუროს მხრივ, სხვათა შორის, მოწვეულნი არიან გადამწყვეტი ხმით თბილისის ჟურნალისტთა პროფესიონალ კავშირისა და ჟურნალისტებისავე საზოგადოების თითო წარმომადგენელი.

◆ **ქალაქის წყალი.** ქალაქის გამგეობა [illegible] შეიძენს 8 ვერსის მანძილზე დასაგებ თუჯის მილებს წყალსადენის მესამე მაგისტრალისათვის. ამ მაგისტრალის მოწყობა დაჯდება სულ 1.500.000 მანეთად.

◆ **სახლის რეკვიზიცია.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა მისწერა ქალაქის გამგეობას, რომ საჩქაროდ დააცლევინოს მდგმურებს მანთაშევის სახლი [illegible] ქუჩაზე, რომელიც საჭიროა საოლქო შტაბისათვის.

◆ **თაფლის აკრძალვა.** ყუბანის ოლქიდან ამ ბოლო დროს დიდძალი თაფლი შემოდიოდა, რომელიც უშაქრობის დროს კარგ საშუალებას აძლევდა თბილისის და პროვინციის მცხოვრებთ. ეხლა თაფლის გამოტანა ხსენებულ ოლქიდან აუკრძალავთ.

◆ **სურსათ-სანოვაგე.** ქალაქის სასურსათო კომიტეტი იღებს ქუთაისიდან 5 ვაგონ ლობიოს და ჩრდილო კავკასიიდან 25 ვაგონ კარტოფილს და 10 ვაგონ მუხუდოს.

◆ **უპურობა.** გუშინ და გუშინწინ ქალაქში ცოტა და ძალზე შავი პური გამოაცხვეს. დღე და ღამე ატუზებული ხალხი არ შორდებოდა ფურნეებს და საპურე დუქნებს.

◆ **ხოლერა.** ტფილისში მიღებულ ცნობების მიხედვით, ლენქორანში რამდენიმე კაცს გამოაჩნდა ხოლერა.

◆ **ქართული ტეხნიკური საზოგადოება** ორგანიზაციებს აწყობს, რომლებიც არხების გაყვანას უხელმძღვანელებენ ქიზიყში, ზემო კახეთსა და ქართლში.

◆ **ჟურნალისტთა კრება.** თბილისის ჟურნალისტთა და გაზეთის მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა კრება დანიშნულია დღეს, გიორგობისთვის 25-ს, საღამოს 8 საათზე, ჟურნალისტთა ბიუროში (სახალხო სახლში) და წევრებს შეუძლიანთ იმათაც, რომელთაც წევრად ჩაწერა სურთ. წევრებად მიიღებიან რედაქციების კონტორის გამგენი და კორექტორები. კრების საგანია წესდების პროექტის განხილვა და მიმდინარე საქმეები. ეს მეორედ არის კრება დანიშნული და იგი უთუოდ შედგება, რამდენიც წევრიც უნდა დაესწროს.

◆ **ეროვნულ-დემოკრატ. მოწაფეთა კრება.** კვირას, გიორგობისთვის 26 ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია საქ. ერ.-დემოკრატ. მოწაფეთა კომიტეტის კრება, რომელზედაც წაკითხულ იქნება რეფერატი. დასაწყისი დილის სრულ 11 საათზე.

◆ **სასკოლო საქმეები.** კვირას, გიორგობისთვის 26-ს, დილის 10 საათზე, სამისწავლო ოლქის კანცელარიაში დანიშნულია სკოლის ნაციონალიზაციის კომიტეტის სხდომა.

◆ **შემოწირულება.** ქ. თელავის მოქალაქემ მხითაროვმა ქალაქის სავადმყოფოს დასაარსებლად 50,000 მანეთი შესწირა. ქალაქის საბჭომ ერთერთ უკანასკნელ კრებაზე დაადგინა დეპეშით მადლობა შეუთვალოს შემომწირველს. სავადმყოფოს მოსაწყობად არჩეულ იქმნა 15 კაცისაგან შემდგარი კომისია.

## ქუთაისი

◆ **ჯარის კაცთა საბჭოს გარშემო.** ქუთაისის მეციხოვნე ჯარმა ჯარისკაცთა საბჭოს შემადგენლობა ხელახლად აირჩია. საბჭოს უმეტესი ნაწილი ესერებია.

◆ **სიმინდის ფქვილი.** გუშინ ქუთაისის ბაზარზე სოფლიდან ჩამოტანილი სიმინდის ფქვილი ფასობდა 15 მანეთად.

◆ **შეშის საკითხი.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა სთხოვა ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს შეშის გადმოსაზიდავად დაუთმოს ყოველ დღე [illegible] 40 ვაგონი სადგურ ქ[illegible]ლადიდიდან და 30 ვაგონიც მარელისიდან.

◆ **ქურდობა.** 19 ნოემბერს, დღით, ბალახვანის ქუჩაზე ბოროტ-გამზრახველებმა გასტეხეს ივ. სულავას [illegible]. წაიღეს 300 მანეთის საქონელი და 500 მანეთი ფულად.

— ამავე ღამეს, ქარვასლის ქუჩაზე გასტეხეს ასლან გოგიაშვილის დუქანი, იქიდანაც წაიღეს 70 მანეთი ფულად და 180 მანეთის საქონელი.

— გიორგობისთვის 18, ღამით ბოროტგამზრახველებმა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგის სადგომიდან მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები.

— [illegible] ქუჩაზე ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს გერსამიას და რუხაძის სახელოსნო. წაიღეს ფეხსაცმელები და ტანსაცმელი. სულ 1300 მანეთისა.

— ღამით, გიორგობისთვის 19, ალექსანდრეს ქუჩაზე ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს უკრაინცევის ფეხსაცმელების სახელოსნო. ბოროტგამზრახველებმა სახელოსნო სრულიად გაცარცვეს. ზარალი 22000 მან. უდრის.

◆ **ზარალი.** როგორც ამას წინეთ გვქონდა მოთავსებული ჩვენს გაზეთში, ალექსანდრეს ქუჩაზე დაიწვა თევდორაძის სახლი, როგორც გამოირკვა ზარალი უდრის სულ 663,300 მანეთს.

## ბათომი

◆ **შავი ჭირი ტრაპიზონში.** ტრაპიზონში რამდენიმე შემთხვევა ყოფილა შავი ჭირით ავადმყოფობისა. საგანგებოდ გაიგზავნა იქ ბაქტერიოლოგიის პროფესორი შიროკოგოროვი. ბათომში წინასწარი ზომები მიიღეს, რომ შავი ჭირი ტრაპიზონიდან აქ არ იქნეს შემოტანილი.

# დამფუძნებელ კრების არჩევნები

**ხაშურის რაიონში** № 1 მიიღო 2,658, 2—3, 3—107, 4—18, 5—16, 6—123, 8—45, 9—1. ჯარისკაცთა ხმები ასე განაწილდა: № 1—58, 2—15, 3—271, 4—13, 5—3, 6—1, 8—1.

**[illegible] საზოგადოება** № 1—1283, 2—4, 3-15, 4—2, 5—28, 6—0, 8—7.

**ქვიშხეთის საზ.** № 1—2,239, 3—1, 6—22, 8—29.

**ოსიაურის საზ.** № 1—1,145 8—5.

**ს. [illegible]** № 1—204, 6—2, 8—124.

**ს. [illegible]** № 1—491, 6—17, 8—122.

**ს. [illegible]** № 1—400, 3—197, 6—12, 8—89.

**ს. გელათ-მოწამეთში:** № 1—203, 3—1, 6—0, 8—53.

**კოკა-ნაბოსლევში:** № 1—389, 3—7, 6—0, 8—10.

**ძ. ჭიათურაში.** № 1—519, 5—54, 3—78, 6—79, 8—143, 15—2.

**პერევისას საზოგადოებაში** № 1—1610, 3—51, 5—9, 6—118, 8—48.

**რგანი.** № 1—684, 3—5, 6—7, 8—182.

**ზედაზენში** № 1—269, 3—10, 6—18, 8 25.

**[illegible].** № 1—322, 8—2.

**ქციხი.** № 1—1989, 6—14, 8—216, 5—337, 3—47.

**აბასთუმანი.** № 1—77, 2—56, 3—109, 4—198, 5—78, 7—10, 8—26, 9—2, 11—1, 15—2.

**ველისციხე.** № 1—726 ხმა, № 2—3, № 4—454, № 6—83, № 8—59.

**გორის რაიონში** (გორის მაზრა). მენშევიკებმა მიიღეს 9580; დაშნაკელებმა 2; ბოლშევიკებმა 1; ს.-ფედერალისტებმა 269; ნაციონალ დემოკრატებმა 162.

**მოლითი** (შორაპნის მაზრა), მენშევიკებმა მიიღეს 1836 ხმა; კადეტებმა 1; ესერებმა 7; ბოლშევიკებმა 2; ს.-ფედერალისტებმა 48; ეროვნულ-დემოკრატებმა 9.

**გურიანთაში.** № 1 მიუღია—924 ხმა, 3—70, 6—1, 8—7 ხმა, ამნაირად, 1032 ამომრჩეველში ხმა მისცა 1002 ამომრჩეველმა.

**[illegible] რაიონში.** № 1 მიიღო 14.745 ხმა, 3—26, 4—45, 5—3, 6—222, 7—11, 8—722.

**სუფსის რაიონში.** (გურია) მენშევიკებმა მიიღეს 4543 ხმა, ბოლშევიკებმა ერთი, ესერებმა 125, ფედერალისტებმა 1, ნაციონალ-დემოკრატებმა 1.

**[illegible]** საზოგადოებაში (ქუთაისის მაზრა) მენშევიკებმა მიიღეს 2052 ხმა, ს. ფედერალისტ. 13, ეროვნ. დემოკრატებმა 2 ხმა.

**დვაბზუ.** სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 1831 ხმა, სოც. რევოლიუციონერებმა 80, ნაციონალ დემოკრატებმა 26, ფედერალისტებმა 5.

**ცხინვალის** რაიონში № 1 მიიღო 17,455 ხმა, ესერებმა 20, დაშნაკელებმა 31, ბოლშევიკებმა 1, სოც.-ფედერალისტებმა 71, სომხის სახალხო პარტიამ 23, ეროვნულ-დემოკრატებმა 135, სიონისტებმა 9.

**ბორჯომი**—ბაკურიანის რაიონში მენშევიკებმა მიიღეს 5050, კადეტებმა 51, ესერებმა 56, დაშნაკელებმა 161, ბოლშევიკებმა 155, სოც. ფედერალისტებმა 52, სომხის სახალხო პარტიამ 3, ეროვნულ-დემოკრატებმა 14.

**ანაკლიაში** მენშევიკებმა მიიღეს 883 ხმა, კადეტებმა 9, ესერებმა 8, ბოლშევიკებმა 9, ეროვნულ-დემოკრატებმა 4.

**სარაყამიში** მენშევიკებმა მიიღეს 1131, კადეტებმა 360, ესერებმა 6548, დაშნაკელებმა 1948, ბოლშევიკებმა 6211, სოც.-ფედერალისტებმა 57, სომხის სახალხო პარტიამ 15, ეროვ.-დემოკ. 2, სახ. სოც. 1 და გუმეტმა 2.

**ალავერდის ქარხნებში.** № 1 მიიღო 480, 2—9, 3—3, 4—130, 5—15, 8—3, 11—3, 15—3.

# მაჰმადიანთა ეროვნულ კომიტეტების კონფერენცია ბაქოში

ბაქოში შესდგა მაჰმადიანთა ეროვნულ კომიტეტების კონფერენცია, რომელმაც საერთო ანარქიულ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო ვერ გამოიმუშავა მაჰმადიანობის პოზიციის მთავარი საფუძვლები მომავალში. მაგრამ კონფერენციამ ერთი რამ მაინც ცხადჰყო: მაჰმადიანობა მოწადინებულია მეზობელ ერებთან შეთანხმებით ფედერატიულ პრინციპების განხორციელებას, რის პრაქტიკულად განხორციელების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს იმიერ-კავკასიის მთიელებთან შეკავშირება.

კონფერენციამ მიიღო მხედველობაში რუსეთის დემოკრატიის მიერ აღიარებული უფლება ერთა თვითგამორკვევისა, აღნიშნა, რომ მაჰმადიანთა შინა-მოწყობილობის საფუძვლების შემუშავება შეუძლიათ მხოლოდ ერთად ერთს სუვერენულ ორგანოს—მაჰმადიანთა ეროვნულ დამფუძნებელ კრებას და დაადგინა ასეთი ყრილობა მოიწვიოს საჩქაროდ. მაჰმადიანთა დამფუძნებელ ყრილობას დაესწრებიან ამიერ კავკასიის თათრები და ამიერ კავკასიის გაერთიანებული მთიელთა წარმომადგენლები.

ყრილობის მოწვევა დაევალა ამიერ კავკასიის მაჰმადიანთა ცენტრალ კომიტეტს, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საარჩევნო დებულება საერთო პოლიტიკურ მდგომარეობასთან შეთანხმებით გამოსცეს მაჰმადიანთა დამფუძნებელ კრების დეკრეტს.

# მოსკოვის ქართველობა თბილისში

22 გიორგობისთვეს ღამის მატარებლით განსაკუთრებული ვაგონით მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდნენ მოსკოვის ქართულ კოლონიის წევრნი. მათ შორის ექიმი მიხეილ ზანდუკელი და კოლონიის დაუღალავი ხელმძღვანელი გერასიმე ქავთარაძე—მოსკოვის საოლქო გენერალი, მრავალი ახალგაზრდობა—სტუდენტები და უმაღლეს კურსებზე მოსწავლე ქალები. კოლონიის წევრნი უკანასკნელ დრომდე მოსკოვში ყოფილან და ბოლშევიკურ მოძრაობით ძლიერ შევიწროვებულან. არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ კოლონიის ბინაში, სადაც გროვდება უმრავლესობა მოსკოვის ქართველობისა, თავს დასცემიან ბოლშევიკების რაზმები, მაგრამ, საბედნიეროდ, ქართველობიდან არავინ [illegible] ამ მოძრაობას; ზოგიერთები დიდ როლსაც კი თამაშობენ ბოლშევიკების წრეებში. ბ-ნი ზანდუკელი და გენერალი ქავთარაძე გუშინ ჩვენს რედაქციას ესტუმრნენ და ჩვენი ცხოვრების მთელ რიგ საკითხების შესახებ იბაასეს.

# მომრიგებელ კამერაში

(ნოე სიხარულიძის და მისი მზარეულების საქმე).

გიორგობისთვის 8-ში თბილისის ცენტრალ მომრიგებელ კამერაში გაირჩა საქმე ბ. ნოე სიხარულიძის და მისი ყოფილი მზარეულებისა. უკანასკნელნი უკვე გაფიცულნი იყვნენ აგერ მესამე თვე. წინად ჩვენს გაზეთშიაც და გაზეთ „ვოზროჟდენიეში“ იყო მოხსენებული, თუ რისთვის გაიფიცნენ მზარეულები და რა სამარცხვინო საქციელი ჩაიდინეს.

მზარეულები პირიქით ბრალს ნოე სიხარულიძეს სდებდნენ და გაფიცვის მიზეზად ასახელებდნენ თეთრი ხალათის უქონლობას. თუმცა მზარეულებმა თვით ისიც აღიარეს, რომ ხალათების ყიდვაზე ნოე სიხარულიძე უარს არ ამბობდა და გვეუბნებოდა, რომ მატერია ვერ ვიშოვნე. თქვენ იშოვნეთ და მე ფულს გადაგიხდით, მართალია ვერც ჩვენ ვიშოვნეთ მატერია, მაინც გვინდოდა ხალათები და გავიფიცენითო.

მომრიგებელმა კამერამ მეტად დაწვრილებით და გულდასმით გამოიძია საქმე, მოახდინა ადგილობრივ გამოძიება; დაათვალიერა შენობა, სადაც მზარეულები სცხოვრობდნენ; შეეკითხა სხვა მოსამსახურეებს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველა ბრალდებანი მზარეულებისა უსაფუძვლო იყო და მიზეზად გაფიცვისა არ შეიძლებოდა მათგან წამოყენებული მოთხოვნილებანი ყოფილიყო. ნოე სიხარულიძის ბრალდებანი კი სამართლიანად იცნო და ამიტომ მზარეულებს უარი უთხრა მათ მოთხოვნილებაზე.

ისინი თხოულობდნენ მთელი გაფიცვის დროის ჯამაგირს და ხარჯს; უკლებლივ ყველას სამსახურში მიღებას. მომრიგებელმა კამერამ დაადგინა, რადგან მზარეულების გაფიცვა უნიადაგო იყო და მათი მოქმედება არ იყო სამართლიანი, ჯამაგირების მიცემაზე უარი ეთქვათ. მხოლოდ მიეცესთ ჯამაგირი 28 დღის ე. ი. იმ დროის, რაც საქმე კამერაში გადავიდა და რაც დროიდან კანონით მზარეულები უნდა სამსახურს შესდგომოდნენ. რაც შეეხება მეორე მოთხოვნილებას უკლებლივ ყველას სამსახურში მიღებას, ამაზეც უარი უთხრა კამერამ და დაადგინა, შესდგეს მეპატრონეთა და მსახურთა შერეული კომისია და მათ მიენდოთ გამორკვევა, თუ ვინაა ღირსი სამსახურში დაბრუნებისა და ვინ არა. ასეთი სამართლიანი განაჩენი სწორეთ ჭკუის მასწავლებელია მათთვის, ვინც ბრალიან უბრალო შემთხვევაში სრულებით უპატიებელ საქციელს და გაფიცვებს მიმართავენ ხოლმე.

დამსწრე.

# ჯავახელთა პროტესტი ახალ გადამიჯვნის შესახებ

მეხი ისე არ დაეცემოდა ხოლმე თავზედ ჯავახეთის მთა-მინდვრებზე, როგორც ამბავი მის ადმინისტრატიულ გადამიჯვნის შესახებ. გვახსოვს ის შავბნელი დრო ძველი რეჟიმისა, როდესაც „ვორონცოვ-დაშკოვის კულუარებში“ შეთხზული იყო პროექტი ახალქალაქის მაზრის ალექსანდროპოლთან შეერთებისა. მაგრამ ისიც გვახსოვს, როგორ აღსდგნენ ჯავახელები და ერთხმად, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, დაიძახეს: „შორს ხელები! არა, არ გვინდა! ჩვენ უთბილისოდ ვერ გავძლებთ!“ ვერც დღეს შეურიგდება ჯავახეთი ახალ გადამიჯვნის ამბავს და აი რატომ:

მთელი ახალქალაქის მაზრა, ანუ ჯავახეთი, წარმოადგენს აუზსს ერთ მდინარის თაფარავნის წყლის, ანუ ჯავახეთის მტკვრისას. ეს მდინარე დაწყებული აღმოსავლეთიდან, ბორჩალოს მაზრის საზღვარზე, სჭრის მაზრას თითქმის ნახევრად და სოფ. ხერთვისთან ერთვის საქართველოს უდიდეს მდინარეს მტკვარს, რომელიც ჩამოდის არტაანიდან და მიმდინარეობს ახალციხისკენ. თაფარავნის წყალი თავის ჩრდილოეთ და სამხრეთ ტოტებით აერთიანებს მაზრის ყველა და სხვა კუთხეებს. ასე რომ ეს მდინარე თავის არტერიით მშვენიერ სავალ გზას წარმოადგენს. სამხრეთით აყუდებულან აჰ ჰალა, უჩ-თაფალარ, აჰ ბაბას მთები, რომელნიც წარმოადგენენ ბუნებრივ საზღვარს, ზღუდეს, ახალქალაქის და ალექსანდროპოლ-ყარსის შუა, მაშინ, როდესაც დასავლეთის მხრით მაზრა გაშლილია და მტკვარი თავის ხეობით მჭიდროდ და განუყოფელად აკავშირებს მთელს თაფარავან-წყლის ბასეინს ახალციხის მაზრასთან, ე. ი. მესხეთთან და მესხეთის კი ქართლთან (გორის მაზ.)

აქედან დასკვნა: ახალქალაქის მაზრა ბუნებრივ-გეოგრაფიულად და გეოლოგიურ-ჰიდროგრაფიულად მჭიდროდ გადაბმულია დანარჩენ თბილისის გუბერნიის მაზრებთან და არაფერი საერთო არა აქვს ალექსანდროპოლის მაზრასთან.

გეოგრაფიული თვისებები მაზრისა თავის თავად სწყვეტენ მის ეკონომიურ ცხოვრებას და საზოგადოდ ვაჭრობა-აღებ-მიცემობას. ჯავახელი გლეხი, ან ვაჭარი, ვინც უნდა იყოს იგი ეროვნებით სომეხი თუ ქართველი, არასოდეს არ წაიღებს თავის საქონელს ალექსანდროპოლში და თავის საჭირო ნივთებსაც არასოდეს არ იყიდის იქ, არამედ იგი ყოველთვის თბილისკენ იყურება, საიდანაც ვაჭარს მოზიდის სხვა და სხვა საქონელი და სადაც გლეხს მიაქვს გასასყიდად პური, ან ქერი, და ყიდულობს სხვა და სხვა პირველ საჭიროების ნივთებს. ცხადია, რომ ეკონომიური ცხოვრება მაზრისა მთლად გადაბმულია თბილისის გუბერნიის ეკონომიურ ცხოვრებასთან და ალექსანდროპოლთან შეერთება კი ამ თვალსაზრისითაც ხელოვნური შეერთება იქმნება, რომელიც შესამჩნევლად შეასუსტებს მაზრის ისედაც დაცემულს ეკონომიურს ცხოვრებას. მეორე დასკვნა: ახალქალაქის მაზრა მჭიდრო, განუყოფელ ეკონომიურის კავშირით გადაბმულია დანარჩენ საქართველოსთან და მას უთბილისოდ ეკონომიური ცხოვრება არ ძალუძს.

ადმინისტრატიულ-პოლიტიკურად და კულტურულადაც მაზრა ისევე მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისთან, როგორც ეკონომიურად. სასამართლო, ადმინისტრატიული მართვა-გამგეობა, კულტურა, სწავლა-განათლება ერთი სიტყვით, ყველაფერი თბილისიდან მოსდის ახალქალაქს, რაც გასაკვირალი არ არის, რადგან ბუნებრივია და თვით მაზრის მიწის აგებულობა თავის თავად აკავშირებს მას დანარჩენ თბილისის გუბერნიის მაზრებთან.

ისტორიულის თვალსაზრისის განხილვა არც კია საჭირო, რადგან ამ მხრივ არავითარი ეჭვი არავის ებადება. მაზრა არასოდეს არ ყოფილა სომხეთის ბატონობის ქვეშ,—ჯერ მესხეთა და მერე თბილისი მის სრულ ბატონ-პატრონად იყვნენ. და რომ ჯავახეთი ნამდვილი საქართველოა, გაპოხიერებული ჩვენის წინაპართა ძვლებით და სისხლით, ამას მოწმობენ ჯერ კიდევ დაცულნი 30 ძველი ეკლესია-მონასტრები, მათ შორის დიდებული საეპისკოპოზო ქუმურდოს ტაძარი, 13 ციხე-სიმაგრე და 5 სხვა და სხვა გამოუკვლეველი ნანგრევი; მაგრამ ვინ უწყის, რამდენი ამაზე მეტი ნაშთიც იყოს?

დასკვნა: ჯავახეთი იყო, არის და უნდა სამუდამოდ საქართველოში დარჩეს.

დარჩა ერთი მხარე ჩვენის განხილვისა—ეთნოგრაფიული, ერთად-ერთი საფუძველი, რომელზედაც ამყარებენ თავის იმედებს გადამიჯვნის მომხრენი. მართალია, ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა უმეტესობას სომხობა წარმოადგენს, მათი რიცხვი სხვა დანარჩენ ეროვნებათა რიცხვს აღემატება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ჯერ ერთი ის, რომ სომხები არ არიან მაზრის მკვიდრნი, მეორეც—მათი მოსახლეობა ჯავახეთში არ არის მჭიდროდ, ეთნიურად მთლიანად შეერთებული მათ მოძმე ალექსანდროპოლის მაზრის სომხობასთან, რადგან ამ ორ ეთნიურ ჯგუფთა შორის სხვა ეროვნების წარმომადგენლები სცხოვრობენ, სახელდობრ, დუხობორები და ყარაფაფახნი.

ერევნის გუბერნიის, ალექსანდროპოლის მაზრის, მესამე საბოქაულოს, ყიზილ-ყოჩის სოფლის საზოგადოების ჩრდილოეთ სოფლიდან ახალქალაქის უსამხრეთეს სომხის სოფლამდე უახლოესი მანძილი 22 ვერსია (ალექ. მაზრის სოფ. დარა-კენდიდან—ახალქ. მაზრ. სოფ. სათხემდის), შემდეგ 24 და 25 ვერსი. მათ შორის, მთელ ამ მანძილზე რუს-სექტანტების [illegible] მდებარეობენ სოფელ სპასკაია, გორელოვკა, ორლოვკა, ეფრემოვკა და სხვა.

შემდეგ ალექსანდროპოლის მაზრის მეზობლად ყარსის ოლქი საზღვრავს სამხრეთით ჯავახეთს. ყარსის ოლქის, აღა-ბაბის საბოქაულოს, თაფა-კეის სოფლის ოლქის დუზ-კენტის, სულთან-აბადის და ხოზ კენტის სოფლის საზოგადოებაში მოსახლეობენ ყარაფაფახები (ძველი ქართული [illegible]). ასე რომ ახალქალაქის სომხები საგრძნობლად მოწყვეტილნი არიან ალექსანდროპოლის სომხებისაგან ტერიტორიალურად და ეთნიურად, ამიტომ ეთნოგრაფიულ სიმთელეს მოკლებულნი არიან.

დუხობორების და ყარაფაფახების კი რა მოგახსენოთ. ყოველ შემთხვევაში ეგენი არ იქმნებიან რაიმე გადამიჯვნის მომხრენი.

ასე რომ გადამიჯვნას ჯავახეთში არავითარი რეალური ნიადაგი არ მოეპოვება, ამიტომაც ჯავახელები სამართლიანად პროტესტს აცხადებენ მის განხორციელების წინააღმდეგ.

თვით ახალქალაქის სომხობისთვისაც უფრო სჯობს იმავე თბილისის გუბერნიაში დარჩნენ, ვიდრე ალექსანდროპოლის მაზრასთან იყვნენ მიწერილნი. და თუ საქართველომ მომავალში მიიღო ავტონომია, დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ არავითარ ეროვნულ ჩაგვრას ადგილი არ ექნება, ამას თვით ისტორიაც მშვენივრად მოწმობს და ახალქალაქის მაზრაში სომხებს ექნებათ კულტურულ-ეროვნული თვით-მართველობა.

შ. ა—შვილი.

# ქართული კლუბი

სახელად ქართული კლუბი ჰქვიან, მაგრამ არსებითად—რუსულია: რუსული ოპერა, რუსული დრამა, რუსული ვოკალურ-ლიტერატურული საღამოები და სხვა. ქართულ წარმოდგენებს კი მხოლოდ ორი დღე აქვს დათმობილი და ისიც ერთი ვაი-ვაგლახით იმართება. უნდა ადამიანი დაახლოვებული იყოს ჩვენ სცენასთან, რომ დაფასოს ის ტანჯვა, რა ტანჯვაშიაც ჩვენ მსახიობებს უხდებათ მუშაობა ჩვენს სცენაზე! რეპეტიციებს კუნჭულ ოთახში აკეთებენ, არ აძლევენ სარეპეტიციოდ სცენას იმ დღესაც, რა დღითაც ქართული წარმოდგენაა იდგმის. „თქვენთვის სცენა არ სცალიან. ოპერასა აქვს რეპეტიცია“. ასე უპასუხებენ კლუბის მამასახლისები. ერთი წარმოდგენაც დასმა მოხსნა რეპერტუარიდან, რადგან რეპეტიციის ნება არ მიეცათ. ჩვენ ხელმძღვანელობაში გვაქვს ამ თვის ცხრისთვის დანიშნული წარმოდგენა, როდესაც უნდა ზუდერმანის პიესა „პატიოსნება“ დადგმულიყო. შესაძლოა ასე კიდევ ბევრ ჯერ ჩააშლევინონ ჩვენს მსახიობთ წარმოდგენები და ამით სრულიად ჩაუკლან ყოველგვარი ენერგია და მეცადინეობა. ამისთანა გამოსვლები პირველი არ არის. შარშან კიდევ კლუბის ადმინისტრაციას ბრძანება გაეცა ყველა მოსამსახურეთათვის, ვიდრე ჩვენ არ მოგცეთ ნება ქართველი მსახიობნი ზევით ე. ი. სცენაზე არ აუშვათო და ერთხელ ამ ბრძანებით წვიმიან დღეში, სიცივისაგან გარეთ [illegible] მსახიობნი, ვიდრე ნება [illegible] კლუბში შესვლისა. რა მასხარაობაა ეს?! რა დაცინვა და შეურაცხყოფაა!! როდემდის უნდა სდუმონ ისედაც გაჭირვებულ და სასტიკ პირობებში მომუშავე ჩვენი მსახიობნი? როდის უნდა აილაგმოს კლუბის მამასახლისთა კაპრიზები და ერთი მეორეზე საზიზღარი საქციელები? ნუ თუ სირცხვილი არ არის ჩვენთვის, რომ საზოგადო დაწესებულებანი კერძო პირთა ინტრიგებით გარდაიქცევიან!! ეხლა, როდესაც სამშობლოს ცის ტატნობზე თავისუფლების მზე ამოდის, ასეთი მოვლენა მეტად სამწუხაროა, მაგრამ ვინ არის გამკითხავი?..

ვ. გარრიკი.

# კორესპონდენცია

## კახეთიდან

**ს. ძველი გავაზი.** თელავის სასურსათო კომიტეტის განკარგულებით ძველ გავაზში დაბეჭდეს პურით სავსე ბეღლები. აი, გავიდა თითქმის თვეზედ მეტი და კომიტეტი სდუმს. არაფერს აკეთებს. გუთნები დიდი ხანია გავიდა, სათესლე პურია საჭირო და ბეღლები დაბეჭდილია. ამ მოვლენამ დიდი აღელვება გამოიწვია ხალხში და ბრაზმორეულმა ბევრმა დაამტვრია ბეჭდები და გახსნა ბეღლები, მით უმეტეს, რომ ზოგს საჭმელი პურიც არ მოეპოვებოდა. ვინც ჩაგვირვებულია ჩვენი სოფლის ცხოვრებაში,

[illegible]

ბის აღმასრულებელი არავინ არის, ფასებს აწესებს და დღეს კოდ პურს 150 მან. აფასებენ, ყველს გირვანქას 4 მან. ჰყიდიან, სიმინდის კოდს 60 მ. და სხვ. უბედურობა ის არის, რომ ბევრი შეძენილი ფულს ეხარბება და პურს ჰყიდის იმ დროს, როდესაც აუცილებლად თვითონ გაუჭირდება და პური დააკლდება. მოსალოდნელია დიდი უწესოება, რადგანაც ჯარში გაწვეულების ცოლ-შვილებს პური არა აქვთ და თავიანთი „პაიკებით“ ისინი 150 მან. კოდში ვერ მისცემენ. ამ უბედურობას, რასაკვირველია, აცნობებენ თავიანთ ქმრებს, ეს უკანასკნელნი გამოიპარებიან და მერე რაც მოხდება ადვილი წარმოსადგენია. დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ თელავის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც კარგად იცოდა მოსავლის რაოდენობა, თავის დროზედ ზომები რომ მიეღო არც ამდაგვარად შიმშილი იქნებოდა, არც ხორბალი იქნებოდა ფუთი 45 მან. და არც თელაველები იქნებოდნენ მშივრები. აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ თავისავე მაზრაში და რაიონში ამოდენა პური იყო და თელავის კომიტეტი კი თბილისში ეძებდა პურს და ისედაც დაშვებულებს ეცილებოდა. მაგრამ, როგორც ამბობენ, მგონი კომიტეტის წევრებს არც პური აკლიათ და არც ჯამაგირები...

აღნიშნული მოვლენა კონტრ-რევოლუციის ამზადებს, სოფლად ანარქიას. ვისაც რა სურს და მოეპრიანება იმას აკეთებს. აღმასრულებელი კომიტეტი მარტო სახელს-და ატარებს. ეხლაა საჭირო სოფლად მუშაობა, უნდა ყველამ იცოდეს, რომ უბედურობა სოფლიდამ დაიწყობა და მერე გვიანღა იქნება სინანული. ნეტავი სად არიან ჩვენი პროპაგანდისტები, რომელნიც ამ რამდენიმე ხნის წინად მოსვენებას არ აძლევდნენ გლეხობას და კვირაში რამდენიმე დღე აცდენდნენ მუშაობას? მინდა რომ ვცდებოდე, მაგრამ ვფიქრობ, ისინი ნამდვილის მუშაობდნენ სოფლად, ვიდრე ხალხი მათ ჩააყენებდა საათვეში და კარგს ჯამაგირებს დაუნიშნავდა. ეხლა კი, როდესაც ეს წადილი შეუსრულდათ, სოფლისთვის რადას მოიცლიან?

ვანო უჟღიანი.

## გორჯალოდან

შორავედი (შულავერი). აუტანელ მდგომარეობაში განიცდიან ადგილობრივი მოხელენი უპურობისა გამო. მთელს შულავერში, არც ერთი ფურნე არ არის, არ ცხვება პური, მიტომ, რომ აქაური მცხოვრებნი ადგილობრივ მკვიდრნი არიან და არა საჭიროებენ, სხვაზე კი ისინი არასა ჰფიქრობენ. აქაური მოხელე დილიდან საღამომდე დადის აქა იქ მეზობლებში თითო პურს თხოულობს, ჯერ ვერ იშოვის, და თუ იშოვა 1—50 კ. თუ 2 მ. უნდა მისცეს ერთ გამომცხვარ პურში, რომელიც არ გამოვა წონით 1 ნახევარი გირ. არსებობს ეგრედ წოდებული სამაზრო სასურსათო კომიტეტი, მაგრამ ის იმდენს ზრუნავს აქაურ მოხელეებისათვის რამდენადაც მე ჩინელისთვის. ჯერ ისევ ლვინობისთვეში მოხდა აქაური ყველა დაწესებულების მოხელეთა კრება, სამაზრო კომისარიატში, სადაც მოწვეულ იქმნა სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე აგრონომი მირაქოვი, გაირკვა რომ კომიტეტს დასაწყისიდანვე არა გაუკეთებია-რა და მომავალშიც ვერას გააკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ მარეკვიზიცია მოუხდენია მანთაშევის და არამიანცის ქარხნებისათვის, საიდანაც შეიძლება თურმე 15 ვაგონზედ მეტი ხორბლის გამოტანა, მაინც კომიტეტი ვერას გააკეთებს დამშეულ ხალხისათვის ბ. მირაქოვის სიტყვით, რადგანაც ის მარტოა და ამხანაგები მას არ მისდევენ საქმეში. მირაქოვი სთხოვს კრებას გაანთავისუფლონ იგი თანამდებობიდან, რის გამო 19 გიორგობისთვეს იქნა მოწვეული ახალი კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნა ახალი

[illegible]

იმ მოხელეს, რომელიც ურემს თან მოჰყვებოდა „თქვენ გინდათ პური და ჩვენ არაო, რა უფლებით მოიტანეთ და სხვა“... რომ ერთი ორი მადლიანი კაცი არ შეხვედროდა ამ დროს, ბეჩავი მოხელე შეიძლება მსხვერპლი გამხდარიყო ბრბოსი, რომელიც არ ჰზოგავდა არაფერს მის ჩასაქოლავად, ერთი კი, რომელსაც პირველი № დუბლუჯნა ხელში, ჩემს გასაგონად რუსულად ჰყვიროდა: „Не онъ виноватъ, а управляющій Манташева, надъ которымъ слѣдуетъ совершить самосудъ“-ო. აქვე იყვნენ სასურსათო კომიტეტის წევრნი, მაგრამ ვერა გააწყეს-რა იმის მეტი, რომ ხორბალი დაეტუსაღებინათ, რაზედაც თვით მოხელე უარს-არ ამბობდა, ოღონდ როგორმე თავი გადაერჩინა.

მეორე დღეს მოწვეულ იქმნა კრება, დაესწრნენ სამაზრო კომისარი, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი, სასურსათო კომიტეტის შემადგენლობა, მოხელენი ყველა დაწესებულებისა და ხალხიდან წარმომადგენლები. ხაზინის მოხელენი მოითხოვენ იმ პირთა განსაჩივრებას, რომელთაც შეურაცხჰყვეს მათი მოხელე და სთხოვენ სხვა დაწესებულებათა მოხელეთ, ცხარი დაუჭირონ, უკანასკნელთ სრული თანხმობა და თანაგრძნობა განუცხადეს. ბევრი კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ ის პირნი, რომელთაც შეურაცხჰყვეს მოხელე, ყოფილან ამხ. „ბოლშევიკები“, რომელთა პატივებაც აუცილებელი შეიქმნა კრების მიერ.

ახალი სასურსათო კომიტეტი მრავალს რასმეს გვპირდება შემდეგში და თუ რას გააკეთებს დამშეულ ხალხ მომავალი გვიჩვენებს.

ვეფხვი.

## წერილი დიმიტრი არაყიშვილს

ძვირფასო მეგობარო! აგერ ათი წელი მიდის, რაც ერთმანეთს დავუახლოვდით, დავმეგობრდით. მიზეზი ჩვენის ასეთი დაახლოვებისა იყო ის, რომ ერთნაირად ვფიქრობდით, ვაზროვნობდით, ერთის გრძნობით გვიყვარდა სამშობლო, ერთად გვიცემდა გული მდაბიო ხალხის ჭირ-ვარამზედ.

აბა გაიხსენე ის დღეები, როგორ მზრდიდი, როგორ მიხილავდი თვალებს ჭეშმარიტ ხელოვნებაზედ და მის დანიშნულებაზედ?

მოიგონე ის დღეები, თუ როგორ სწუხდი და სცდილობდი მუსიკის დემოკრატიზაციაზედ. მოსკოვის სახალხო კონსერვატორიის უფლებრთობაზედ?

მოიგონეთ ისიც, როდესაც ავათმყოფი ლოგინად ჩავარდნილი, როგორ სტიროდი და ოხრავდი ქართულ მხატვრულ მუსიკის ბედ-იღბალზედ?

მე ჯერ მაშინ ისევ ხეპრე, უგუნური, მაგრამ გულუბრყვილი ბავშვი ვიყავი. გული შემტკიოდა შენი მწუხარებაზედ და უზომო სურვილით ვანთებოდი რითიმე მოგშველებოდი, როგორმე შემემსუბუქებინა მძიმე ტვირთი, მაგრამ მაინც გაჯავრებდი და არ გიგონებდი.

გახსოვს, მე რომ 1912 წ. პირველად გამოველი ჩემი საწყალი ვიოლინოთი მოსკოვის ქუჩა-ქუჩა ეზოებში დასავლელად, როგორ გაგიკვირდა, როგორ თანამიგრძნობდი, როგორ გამახალისე?

ჰო და აი, როცა ყველა ამას გაიხსენებ, არ შეგიძლიან გული არ ამოგიჯდეს, რომ ასე დაშორებული ხარ საყვარელ კაცთან, ვერ ჰხედავ აქ იმ დროს, როცა ქვეყანა ბრუნდება, ერთიანად იცვლება, სამშობლო კერას სტირიან მომღერალნი, ჯარის კაცნი, ხელმძღვანელნი და მით უმეტეს, შენს საყვარელს ხელობას, მუსიკას.

აბა, მანდ რას აკეთებ? მანდ რა გინდა? განა მანდ თითონ ვერ მოუვლიან თავიანთ აწეწილ-დაწეწილ საქმეს? რუსები უშენოდაც კარგად დაანგრევენ და შეაძლევა ააშენონ კი-

[illegible]

ლე, სიცოცხლის წყურვილი, სიცოცხლის ძახილი...

ოჰ, რომ იცოდე რა კარგია აქ მუშაობა, რა მშვენიერი ნიადაგი აქვს აქ, ჩვენში ყოველგვარ ადამიანის დიდსულოვან იდეებს, მერწმუნე ერთ წუთსაც არ შეჩერდებოდი!

იმ ხნის განმავლობაში, რაც შენ დაგშორდი, ერთ წუთსაც არ დამისვენია.

სულ ვხედავ ჩვენი ქვეყნის უბის კალთებში და დავრწმუნდი, რომ რაც სხვაგან განუხორციელი დონ-კიხოტისებური ოცნებაა, ჩვენში ნამდვილი რეალური განხორციელებაა.

მაშ აბა, მოდი... მოდი ჩქარა... დიდ, თავისუფალ საქართველოში აღმოაშუქოს მუსიკის სხივებმაც ისე, როგორც აღმოსავლეთში აღმოაშუქა, მოჰფინა და გაათბო კაცობრიობის გული მუდამ—ქრისტესი თუ მაჰმადის დიად მოძღვრებამ!

შენი მოხეტიალე

ილიკო ქურხული.

## წერილი რედ. მიმართ

ქ. თბილისში ახლად შემდგარ შეშით მოვაჭრეთა ამხანაგობა „სითბო“ რომლის წევრად მეც ვითვლებოდი დღეიდან —თავს ვანებებ მასში მუშაობას.

ნიკოლოზ კრეჟაშვილი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

## კალენდარი

შაბათი, გიორგობისთვის 25

მე-11 დღე ქრ. შობის მარხვისა. [illegible]

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ საფ. № 5, 11,32 დილ.
სამგზ. № 9, 11.28 დილ.
ხაშურ-ბორჯომის. № 19, 3.17 დღ.
„ „ № 17, 8.19 დილ.
ბაქოსაკენ ჩქარ. № 6, 9.51 დილ.
„ საფ. № 4, 8.46 საღ.
საქარასკენ სამგზ. № 4.8, 12.15 საღ.
„ № 61. 8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე).
„ № 63.4, 48 ნაშუადღევზე მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან სამგზ. № 10, 8.38 დილ.
„ საფ. № 6, 7,41 საღ.
ხაშ.-ბორჯ. სამგზ. № 20, 7.57 დილ.
„ სამგზ. № 18, 9.50 საღ.
ბაქოდან საფ. № 8, 10 26 დილ.
„ ჩქარ. № 5, 10 20 საღ.
ყარს-ჯულფ. საფ. № 3***, 7. 58 დილ.

## კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.

## საზოგადო მზრუნველობის სამინისტროს კომისარისაგან

ყველა ჯარის კაცთა იმ ოჯახის წევრთა საყურადღებოდ, რომელნიც ამიერ-კავკასიაში იღებენ ხაზინისაგან დახმარებას.

მოქალაქენო! მთელი რუსეთი და მასთან ერთად ამიერ-კავკასიაც მძიმე დღეებს განიცდიან.

პეტროგრადში კანონიერი მთავრობა აღარ არის, რის გამოც სახელმწიფო ქაღალდიდან ფული თავის დროზე აღარ მოდის და ამიტომ ამიერ-კავკასიაში მყოფი ყველა, სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციები იძულებულნი არიან იმ ფულით დაკმაყოფილდნენ, რომელიც ამიერ-კავკასიის ხაზინებში არის. რადგანაც ამ ფულით ყველა მოთხოვნილებათა სავსებით დაკმაყოფილება შეუძლებელია, შესაძლებელია, რომ სხვებთან ერთად ჯარის კაცების ოჯახებმა მიიღონ სავსებით და თავის დროზე დაწესებული კერძი.

მოვუწოდებ ყოველი ჯარის კაცის ოჯახს, უდრტვინველად აიტანოს მძიმე მდგომარეობა იმ იმედით, რომ მას მალე მოეღება ბოლო. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მიიღო ყველა ზომები, რომ, როგორც პეტროგრადიდან ისე სხვა წყაროებიდან საჩქაროდ შემოვიდეს ფული ამიერ-კავკასიაში. მიღებულმა ზომებმა უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი.

მოქალაქენო! შეიგნეთ თქვენი სამშობლოსადმი მოვალეობა, მოთმინებით იცადეთ და ტყუილად ნუ ივლით ფულის საკითხებისთვის გამგეობით იმ დაწესებულებებში საიდანაც კერძს იღებთ, ვინაიდგან მათ ამ ხანად იმაზე მეტის მიცემა არ შეუძლიანთ, რასაც იძლევიან.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი დარწმუნებულია, რომ კერძის მიმღებნი გრძნობენ სამშობლოს წინაშე თავის პასუხისმგებლობას, დაიცავენ სრულს სიწყნარეს და ამ ძნელ ხანაში დახმარებას გაუწევენ ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომელსაც ქვეყნის სრულუფლებიანმა რევოლუციონურმა ორგანოებმა დაავალა ერთობ მძიმე დანიშნულების შესრულება: ჩვენი სამშობლოს დაყენება თავისუფალ განვითარების ბრწყინვალე გზაზე.

კომისარი ა. ოგანჯანიანი.

2—844—2



გამომცემლობა „სორაპანი“.

7—887—4

## ლიმონადის ქარხანა

დ. კ. ლოლაძის და ამხ.

თებერვლის 19-ის ქუჩა № 28

ამით ვაუწყებ ჩემი ქარხნის მუშტარს წყლების პატივცემულ მოხმარებლებს, რომ ჩემივე ფურგონით

### წყლის დატარებას ვსწყვეტთ

რადგანაც ცხენების საკვები ვეღარ გვიშოვნია; ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ თვითონვე მიიღოთ თქვენს თავზე წყლების წაღება, რისთვისაც მყიდველებს 20 პროცენტით ნაკლებ ფასებში დავუთმობთ იგი. ქარხანაში იყიდება 4 ცხენი.

სრულის პატივისცემით დ. კ. ლოლაძე.

3—884—2

## ქ. შ. წ. გ. საზოგადოების გორის ქართულ სკოლაში

გაიხსნა მასწავლებლის ადგილი.

ჯამაგირია 2,000 მან. უზინოთ. თხოვნა გამოიგზავნება გამგეობის თავმჯდომარის გ. ელიავას სახელობაზე.

4—880—2

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სათავადაზნაურო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

## თბილისის

### პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრთ ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ ვასილ იაკობის ძე ნეგემიძესთან.

### მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 6—7-დე [illegible] ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

### მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე ზომბალის თემის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

### მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის ლორთქიფანიძე თავმჯდომარე დ. ლუმბაძესთან და კლუბის მეურნე [illegible]შვილთან.

## ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

### იყიდება

ბათუმში დაარსებულ ქართულ ნავთის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიან.

დაწვრილებით ცნობების მიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4.

თ—766—37

## Г. ГВАЗАВА

## Грузія

съ точки зрѣнія

МЕЖДУНАРОДНАГО ПРАВА

გამოვიდა და იყიდება საქ. ეროვ. დემ. პარტიის ბიუროში.

10—9

### ექიმი ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ასაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

### დოქტორი მედიცინისა მოსე ანთიმოსის ძე კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

### კბილის ექიმმა მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განაახლა ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღის ქუჩა, № 22.

25—823—24

### ექიმი დიმიტრი (რაჟდენ) იოსების ძე ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.

გორის ქუჩა № 6, დიდუბე.

თ—879—3

### ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.

გუნიის ქუჩა № 41

ტელეფონის № 14—09

### ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თ—22